

171
987



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კ რ ე ბ უ ლ ი

7

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ISSN 0206-2674



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კ რ ე ბ უ ლ ი

7

ს ბ ო რ ნ ი კ

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1987 — ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის
დაწესებულებაგავში შრომის დაცვის საზიო ჩასატარებელი
მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე დაბუღების
დამტკიცებისა და მოქმედებაში შეყვანის შესახებ

24 მარტი 1987 წელი, № 109

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1986 წლის 8 დეკემბრის № 241 ბრძანების შესასრულებლად და შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად გაწეული მუშაობის ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო-აღმზრდელითი პროცესის ჩასატარებლად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სახალხო განათლების ორგანოებსა და დაწესებულებებში შრომის დაცვის საქმეში მართვის ერთიანი სტრუქტურის შესამუშავებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებების სრულყოფისა და გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემის ორგანოებმა მკაცრად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1986 წლის 8 დეკემბრის № 241 ბრძანებით დამტკიცებული განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებული დებულებით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

2. 1. აღნიშნული დებულების შესაბამისად სამინისტროების აპარატებში, სახალხო განათლების განყოფილებებსა (სამმართველოებში) და დაწესებულებებში მოაწესრიგონ შრომის დაცვის საქმეში პასუხისმგებელი პირების საორგანიზაციო მუშაობა და მოვალეობა.

2. 2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებსა და სახალხო განათლების ორგანოების შრომით კოლექტივებში ორგანიზცია გაუკეთონ აღნიშნული დებულების შესაწავლას.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 24 დეკემბრის № 101 ბრძანებით მიღებული დებულება „სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემაში მის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

მინისტრი ნ. ზ. ვასაძე

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრძანება

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის
დაწესებულებაზე ურომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი
მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე დაბუღების
დამტკიცებისა და მოქმედებაში შეყვანის შესახებ

8 დეკემბერი 1986 წელი, № 241

სახალხო განათლების ორგანოებსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში ურომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარებისა და ურომის დაცვის მართვის ერთიანი სტრუქტურის შექმნის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს და მოქმედებაში შევიდეს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებული დებულება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში ურომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ (თან ერთვის).

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სახალხო განათლების განყოფილებათა (სამმართველოთა) და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

2. 1. ამ დებულებასთან შესაბამისობაში მოიყვანონ სამინისტროების, სახალხო განათლების განყოფილებათა (სამმართველოთა) და დაწესებულებათა აპარატში ურომის დაცვის ორგანიზაცია და ამ დარგში მომუშავე თანამდებობის პირთა მოვალეობანი.

2. 2. მოაწიონ ამ დებულების სწავლება სახალხო განათლების ორგანოებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა ურომით კოლექტივებში.

4645-7

3. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების რექტორებმა და საშუალო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებმა იხელმძღვანელონ დებულებით შრომის დაცვის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1986 წლის 4 მარტის № 168 ბრძანებით.

4. სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და მისდამი დაქვემდებარებულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა იხელმძღვანელონ დებულებებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში შრომის უსაფრთხოების მართვის კომპლექსურ სისტემაში შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1985 წლის 10 სექტემბრის № 10143—1644 განკარგულებებით.

5. რსფსრ განათლების სამინისტრომ შეიმუშავოს და დაამტკიცოს დებულება საქვეუწყებო სამრეწველო საწარმოებში შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 24 დეკემბრის ბრძანება № 101 „სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემაში შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე დებულების მოქმედებაში შეყვანის შესახებ“.

7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს სახალხო განათლების მთავარ ინსპექციას (ამხ. ი. მ. როგოვსკი).

მინისტრი ს. ზ. შჩერბაკოვი

საქ. სსრ კ. მარტის

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სა-
მეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირების ცენტრალური კომიტე-
ტის თავმჯდომარე (რ. ა. პაპილოვი)

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს
1986 წლის 8 დეკემბრის № 241 ბრძანე-
ბით

1986 წლის 14 ნოემბერი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში
შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის
ორგანიზაციის შესახებ

1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სსრ კავშირის განათლე-
ბის სამინისტროში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების გან-
ათლების სამინისტროებში, სახალხო განათლების განყოფილებებსა
(სამმართველოებსა) და დაწესებულებებში შრომის დაცვის ხაზით
ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის ერთიან სისტემას; ადგენს იმ
თანამდებობის პირთა მოვალეობებს, რომლებმაც უნდა უზრუნველ-
ყონ შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარების
ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობები, მიიღონ გამაფრთხილებელი
ზომები სახალხო განათლების დაწესებულებებში ტრავმატიზმისა და
სხვა უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

2. სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, მოკავშირე და ავტონო-
მიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სახალხო განათ-
ლების განყოფილებები (სამმართველოები) და დაწესებულებები თა-
ვიანთ საქმიანობაში შრომის დაცვის დარგში მუშაობის ორგანიზა-
ციის ხაზით ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავ-
შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სკკპ ცენ-
ტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სრუ-
ლიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავ-
შირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, სხვა ნორ-
მატიული აქტებითა და ამ დებულებით.

3. პასუხისმგებლობა შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუ-
შაობის საერთო მდგომარეობისა და ხელმძღვანელობა მისი ორგანი-
ზაციისადმი სსრ კავშირის განათლების სამინისტროში, მოკავშირე და
ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებში, სახალ-
ხო განათლების განყოფილებებსა (სამმართველოებსა) და დაწესებუ-
ლებებში ეკისრებათ მათ ხელმძღვანელებს,

2. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაცია

2. 1. საერთო ხელმძღვანელობა შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობისადმი ეკისრება სსრ კავშირის განათლების მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს.

2. 2. სსრ კავშირის განათლების სამინისტრო:

2. 2. 1. ხელმძღვანელობს შრომის დაცვის დარგში სამინისტროზე დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებელ მუშაობას. მთლიანობაში პასუხისმგებელია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემაში შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის საერთო მდგომარეობისადმი. ანხორციელებს კონტროლს და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების მეშვეობით ხელმძღვანელობას უწევს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია სახალხო განათლების დაწესებულებებში შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარებისათვის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად.

2. 2. 2. უზრუნველყოფს სახალხო განათლების სისტემაში შრომის დაცვის ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, მოწინავე გამოცდილების, საშუალებებისა და მეთოდების დანერგვას, რომლებიც მიმართულია სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარებისათვის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისაკენ, მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლეთა და ბავშვთა შორის მოსალოდნელი ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად გამაფრთხილებელ ღონისძიებათა გატარებისაკენ.

2. 2. 3. უზრუნველყოფს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სახალხო განათლების განყოფილებებისა (სამმართველოების) და დაწესებულებების მიერ შრომის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების სწორად გამოყენებასა და მკაცრად დაცვას.

2. 2. 4. სწავლობს და ანოზადებს დარგში შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით ეს წინადადებები შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტსა და სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოში განსახილველად.

2. 2. 5. მოქმედი კანონების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის შრომის სახელ-

მწიფო კომიტეტისა და სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს დადგენილებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს, დადგენილებებსა და ინსტრუქციებს შრომის დაცვის საკითხებზე და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

2. 2. 6. შეიმუშავებს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტთან, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით ამტკიცებს დარგობრივ, შრომის დაცვის წესებსა და ნორმებს, ტიპურ ინსტრუქციებს უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის შესახებ და დაჰყავს ისინი სახალხო განათლების დაწესებულებებამდე.

2. 2. 7. შეიმუშავებს და შეთანხმების შემდეგ, დადგენილი წესით, ამტკიცებს ნუსხებს, ზოგად ტექნიკურ პირობებს, პედაგოგიურ მოთხოვნებს სასწავლო მოწყობილობის, სწავლების ტექნიკური საშუალებების, ავეჯისადმი და ა. შ.

2. 2. 8. სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტში, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოში შეიქვს წინადადებები ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ სიებში, რომლებშიც ჩამოთვლილია შრომის ისეთი მავნე პირობების მქონე თანამდებობები. პროფესიები, სამაქროები და საწარმოები, რომლებშიც მუშაობა დამატებითი შვებულებით სარგებლობისა და შემცირებული სამუშაო დღის უფლობას იძლევა, აგრეთვე შრომის ისეთი მძიმე და მავნე პირობების მქონე საწარმოების, პროფესიებისა და სამუშაოების სიებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელშიც აკრძალულია თვრამეტ წელზე ნაკლები წლოვანების პირთა შრომის გამოყენება.

2. 2. 9. სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით შეიქვს ცვლილებები და დამატებები მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლეებზე სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების უფასოდ გაცემის დარგობრივ ნორმებში.

2. 2. 10. ახორციელებს წარმოებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ჯგუფური, მძიმე უბედური შემთხვევებისა და სასიკვდილო შედეგებით დამთავრებულ შემთხვევათა აღრიცხვას. ანალიზებს უბედური შემთხვევების გამომწვევ მიზეზებსა და ახორციელებს ღონისძიებებს მათ წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ზომების მისაღებად.

2. 2. 11. აწყობს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების გა-



ნათლების სამინისტროების, სახალხო განათლების სამხარეო, სახელმწიფო და საქალაქო განყოფილებების (სამმართველოების) შრომის დაცვის სამსახურების ხელმძღვანელთა და შრომის დაცვის ინსპექტორთა (ინჟინერთა), აგრეთვე სახალხო განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების სწავლებას შრომის დაცვის საკითხებზე.

2. 2. 12. ისმენს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სახალხო განათლების განყოფილებების (სამმართველოების), სახალხო განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ხაზით ჩატარებული მუშაობის ორგანიზაციის საკითხების შესახებ.

2. 2. 13. ქმნის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკებისაგან (ინსპექტორებისაგან). თავის საქმიანობაში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამსახური ხელმძღვანელობს მინისტრის ან მისი მოადგილის მიერ დამტკიცებული დებულებით.

2. 3. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები ახორციელებენ მუშაობას შრომის დაცვის დარგში მათ შესახებ არსებული დებულებისა და მუშაკთა (ინსპექტორთა) ფუნქციონალური მოვალეობების შესაბამისად.

2. 3. 1. პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში მათი მომზადებისა და ახლად გამოცემის დროს ითვალისწინებენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებს.

2. 3. 2. შეიმუშაებენ ნორმატიულ აქტებს იმ მოთხოვნებითურთ, როლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარების ჯანმრთელ და უსაფრთხო პირობებს უზრუნველყოფს, კერძოდ:

შრომითი და პროფესიული მომზადების, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის, პროფესიული ორიენტაციის, სასკოლო და სასკოლათაშორისო სახილოსნოებში, სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სასწავლო საამქროებსა და უბნებში, სასკოლო დამხმარე მეურნეობებში, შრომისა და დასვენების ბანაკებში, მოსწავლეთა სხვა შრომით გაერთიანებებში ფაკულტატიური და წრებრივი მეცადინეობების დროს;

უელა ტიპისა და დასახელების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში, აგრეთვე სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებსა და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცადინეობათა ჩატარებისას;

დაწყებითი სამხედრო მომხსადების კაბინეტებში, სასროლ ტი-
რებში, პოლიგონსა და პრაქტიკული სწავლების სხვა ადგილებში და-
წყებითი სამხედრო მომხსადების მეცადინეობათა ჩატარებისას;

სკოლებსა და სსრ კავშირის გახათლების სამინისტროს სისტემის
სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ინფორმატიკისა
და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების მეცადინეობათა ჩატარებისას;
კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა ჩატარების დროს
(ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, საღამოები, წრეობრივი მე-
ცადინეობანი და სხვ.).

2. 3. 3. უზრუნველყოფენ დარგში შრომის დაცვისა და უსაფრ-
თხოების ტექნიკის, სასწავლო მოწყობილობის, სწავლების ტექნიკურ
საშუალებათა, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა, სასკოლო ავეჯი-
სა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ავეჯის წარმოების გარ-
შემო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებასა და სრულყოფას,
აგრეთვე განათლების დაწესებულებათა შენობებისა და მათი სათავ-
სოების ფართობის დაპროექტების შესახებ ნორმატიული დოკუმენ-
ტების შემუშავების სანიტარიული და სამშენებლო ნორმებისა და წე-
სების შესაბამისად.

ატარებენ შეთანხმებას და წარადგენენ მათ დასამტკიცებლად
დადგენილი წესით.

2. 3. 4. განსაზღვრავენ განათლების დაწესებულებათა ხელმძღვა-
ნელი და პედაგოგიური კადრების სწავლებისა და ცოდნის შემოწმების
წესს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე.

2. 3. 5. განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწე-
სებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტთან
ერთობილვად ახორციელებენ ღონისძიებებს ჯანმრთელობის განმტკი-
ცების, განათლების დაწესებულებათა მუშაკებს, მოსწავლეებსა და
აღსაზრდელებს შორის დაავადებათა შემცირებისათვის, ატარებენ
მუშაობას სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების, დასვენების ბაზებისა
და სხვა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის
გასაფართოებლად.

2. 3. 6. აწვდობენ დარგში შრომის კანონმდებლობის გამოყე-
ნების პრაქტიკას, ატარებენ მუშაობას შრომისა და სასწავლო-აღმზრ-
დელობითი პროცესის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების უზრუნ-
ველყოფასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგული-
რების სრულყოფისათვის.

2. 3. 7. სხვა სამინისტროებისა და უწყებების შესაბამის ქვედანა-
ყოფებთან ერთად ახორციელებენ კონტროლს შრომის დაცვის დარგ-
ში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამი-
ნისტროების, სახალხო განათლების განყოფილებების (სამმართვე-
ლოების), სსრ კავშირის განათლების სამინისტროების სისტემის და-
წესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობისადმი.

3. მოკავშირე რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მუშაობის
ორგანიზაცია შრომის დაცვის მიმართულებით

3. 1. მოკავშირე რესპუბლიკის განათლების სამინისტრო:

3. 1. 1. ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს სახალხო განათლების განყოფილებებსა (სამხართველოებსა) და დაწესებულებებში შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციისადმი.

3. 1. 2. ქმნის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურს (განყოფილებას, სექტორს), შეიმუშავებს დებულებას ამ სამსახურის (განყოფილების, სექტორის) შესახებ, სამინისტროს, უწყების შრომის დაცვის განყოფილების თაობაზე ტიპური დებულებისა და წინაპდებარე დებულების საფუძველზე, რომელიც სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და სრულიად საქავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს მიერ 1982 წლის 22 აპრილის № 91/-4 ბრძანებით არის დამტკიცებული.

3. 1. 3. შეიმუშავებს ღონისძიებებს სახალხო განათლების განყოფილებებსა (სამმართველოებსა) და დაწესებულებებში შრომის დაცვის საკითხების გარშემო პარტიული, სახელმწიფო და პროფკავშირული ორგანოების დადგენილებათა, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესასრულებლად. აწესებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

3. 1. 4. დადგენილი წესის საფუძველზე შეიმუშავებს შრომის დაცვის პირობებსა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხუთწლიან კომპლექსურ გეგმებს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს წარუდგენს მათ და აგრეთვე ანგარიშებს ამ გეგმების შესრულების შესახებ იმ ფორმების მიხედვით და იმ ვადებში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებით.

3. 1. 5. სახალხო განათლების ორგანოებსა და დაწესებულებებს უზრუნველყოფს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე არსებული აუცილებელი ნორმატიული, ინსტრუქციულ-მეთოდური და საბლანკო დოკუმენტაციით, მოწყობილობით, ინვენტარითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

3. 1. 6. ახორციელებს სისტემატურ კონტროლს სახალხო განათლების დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა მიერ ქუჩაში მოძრაობის, სახანძრო უშიშროების წესების დაცვის. ქუჩაში, გზაზე, ტრანსპორტში, წყალსა და ა. შ. ჩაკევის წესების შესწავლისადმი.

3. 1. 7. აღრიცხავს წარმოებებსა და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან დაკავშირებულ ჯგუფურ, მძიმე უბედურ და სასიკვდილო შედეგის მქონე შემთხვევებს. თითოეული მათგანის შესახებ აცნობებს

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს (საოლქო დაყოფის არმონტრესპუბლიკებისათვის). მონაწილეობს უბედური შემთხვევების გამოკვლევაში, აანალიზებს მათ გამომწვევ მიზეზებს და ღებულობს პროფილაქტიკურ ზომებს მოსალოდნელი ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად.

3. 1. 8. აწყოფს სახალხო განათლების განყოფილებათა (სამმართველოთა), დაწესებულებათა და მოსწავლეთა სწავლებასა და ცოდნის შემოწმებას შრომის დაცვის საკითხებზე.

3. 1. 9. ახორციელებს კონტროლს შრომის მიძიმე და მავნე პირობებში მომუშავე პირთათვის დადგენილი შეღავათების სწორად მიცემისადმი, მომუშავეთა და აგრეთვე სკოლებში, სასკოლო-საწარმოო კომბინატებსა და საბაზო საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის დროს მოსწავლეთა სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფისადმი.

3. 1. 10. სწავლობს და ანზოგდებს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ხაზით მუშაობის მოწინავე გამოცდილებას. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში, პედაგოგიურ სასწავლებლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქმნის შრომის დაცვის კაბინეტებს.

3. 1. 11. ისმენს სახალხო განათლების განყოფილებათა (სამმართველოთა) და დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის, მოსალოდნელი ტრავმატიზმისა და დაავადებთა გამაფრთხილებელი ზომების მისაღებად მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

3. 1. 12. პასუხისმგებლობა შრომის დაცვის ხაზით სამინისტროზე დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისადმი ევალება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების მინისტრს ან მის მოადგილეს, რომელიც უზრუნველყოფს აპარატში შრომის დაცვის ხაზით მუშაობის ორგანიზაციას, განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსების მოვალეობებს შრომის დაცვის დარგში კონკრეტული მიმართულებების ან სამუშაო უბნების ხელმძღვანელობისათვის.

3. 1. 13. მოკავშირე რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შრომის დაცვის სამსახური (განყოფილება, სექტორი) სტრუქტურული ქვედანაყოფები სახალხო განათლების ორგანოების მეშვეობით აწყოფენ და აკონკრეტებენ მუშაობას განათლების დაწესებულებებში შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარებისათვის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად.

4. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების სამხარეო, საოლქო და საქალაქო (რესპუბლიკური ჯაჭვემდებარების) განყოფილების (სამმართველოს) მიერ შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაცია

4. 1. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და სახალხო განათლების სამხარეო, საოლქო და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) განყოფილება (სამმართველო):

4. 1. 1. ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს სახალხო განათლების განყოფილებებში (სამმართველოებში) შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციისადმი განათლების დაწესებულებებში შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარებისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად.

4. 1. 2. შეიმუშავენ ორგანიზაციულ ღონისძიებებს შრომის დაცვის, მოსალოდნელი ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ზომების მიღების საკითხებზე პარტიული, სახელმწიფო და პროფკავშირული ორგანოების დადგენილებათა, შრომის ტექნიკური ინსპექციის, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მითითებათა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ბრძანებათა, ნორმატიული და ინსტრუქციული დოკუმენტების შესასრულებლად; უზრუნველყოფენ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას და აწესებენ კონტროლს მათი შესრულებისადმი.

4. 1. 3. აკონტროლებენ განათლების დაწესებულებათა მიერ მოქმედი შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის შესახებ შეთანხმებების შესრულებას, შესაბამისი წესდების, ინსტრუქციებისა და ა. შ. დაცვას. სოციალისტური შეჯიბრებების შედეგების შეჯამებისას ითვალისწინებენ განათლების დაწესებულებათა მუშაობის შედეგებს შრომის დაცვის, მოსალოდნელი ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა საწინააღმდეგოდ გატარებულ ღონისძიებათა გარშემო.

4. 1. 4. ისმენენ სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო განყოფილებების (სამმართველოების) და განათლების დაწესებულებების ხელმძღვანელების ინფორმაციებს შრომის დაცვის საქმეში ჩატარებული მუშაობის მდგომარეობაზე, იღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს. უცილობელ დახმარებს უწყვეტ სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს შრომის უსაფრთხო პირობების შექმნისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების ჩასატარებლად.

4. 1. 5. სკოლებსა და საწარმოებში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო პირობები იქმნება, დროებით კრძალავენ ან წყვეტენ მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს და მუშაობას.

დადგენილი წესის მიხედვით პასუხს აგებინებენ შრომითი კაპიტალის მდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების, უსაფრთხოების ტექნიკისა და სახანძრო უსაფრთხოების დამრღვევ პირებს.

4. 1. 6. აღრიცხავენ საწარმოო და სასწავლო-აღმზრდელი პროცესთან დაკავშირებული მძიმე ჯგუფური უბედურებისა და სიკვდილის შემთხვევებს, ყოველი მათგანის შესახებ სასწრაფოდ აცნობებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს. მონაწილეობენ უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების გაანალიზებაში და პროფილაქტიკურ ზომებს იღებენ მათ თავიდან ასაცილებლად.

4. 1. 7. შრომის დაცვის ცოდნის მიზნით ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ატარებენ სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო განყოფილებების (სამმართველოების) ხელმძღვანელებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა სწავლებასა და შემოწმებებს, ხოლო ახალდანიშნული ხელმძღვანელებისა და მუშაკების სწავლებასა და შემოწმებებს — მათი დანიშნვიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

4. 1. 8. შრომის დაცვის საკითხების ცოდნის მიზნით აწყობენ სახალხო განათლების განყოფილებების (დაწესებულებების) ინსპექტორების, განათლების დაწესებულებების ხელმძღვანელების, სამეურნეო ნაწილში მათი მოადგილეების, საწარმოო სწავლების ოსტატთა, შრომითი სწავლების, პროფესიული მომზადების, საზოგადოებრივად სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობის, შრომის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზკულტურის მასწავლებლების, სამხედრო მომზადების ხელმძღვანელების, კაბინეტების, ლაბორატორიების გამგეების საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ხელმძღვანელების, სკოლის წრეების, სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელების, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის მოსწავლეებთან მომუშავე ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მწვრთნელების შემდგომ სწავლებას.

განათლების დაწესებულებების საქვებზე დანადგარებისა და ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელი პირების ცოდნის შემოწმება (ატესტაცია) ტარდება ყოველწლიურად.

4. 1. 9. სახალხო განათლების განყოფილებებსა (სამმართველოებს) და განათლების დაწესებულებებს უზრუნველყოფენ შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტებით.

4. 1. 10. კონტროლს უწევენ მძიმე პირობებში მომუშავე პირებისათვის შეღავათების სწორად მიცემას, მწარმოებლური შრომის, შრომითი და პროფესიული მომზადების, სასწავლო-საწარმოო კომბინატსა და საბაზო დაწესებულებებში საწარმოო პრაქტიკის დროს მომუშავეებისა და მოსწავლეების სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და სხვა საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფას.

4. 1. 11. აკონტროლებენ შრომისა და დასვენების ბანაკების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და მოსწავლეთა სხვა შრომითი ერთიანებების მუშაობის ორგანიზაციის დროს შრომის ნორმებისა და წესების დაცვას; შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში ამ ვაერთიანებათა ხელმძღვანელების, დისლოკაციის ადგილზე მოსწავლეთა სწავლებასა და ინსტრუქტაჟს.

4. 2. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, სამხარეო, საოლქო სახალხო განათლების განყოფილებებში (სამსახურებში) შრომის დაცვის სამუშაოთა ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრს, ან სახალხო განათლების განყოფილების (სამმართველოს) ხელმძღვანელს. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი, სამმართველოს უფროსი, განყოფილების გამგე აპარატის ერთ-ერთ თანამშრომელს ნიშნავენ პასუხისმგებლად შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციისათვის. მსგვე ეკისრება შრომისა და უსაფრთხოების დაცვის განყოფილების (ბიუროს) დებულების შესაბამისად დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ვალდებულებები, რომელიც დამტკიცებულია შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო ცენტრალური პროფესიული კავშირების საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 22 აპრილის № 91/11-4 დადგენილებებითა და წინამდებარე დებულებით.

5. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების (სამმართველოების) მიერ შრომის დაცვის ხაზით ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაცია

5. 1. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები (სამმართველოები):

5. 1. 1. ორგანიზაციის უკეთებენ და აკონტროლებენ განათლების დაწესებულებებში შრომითი კანონმდებლობის, სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვას, მომუშავეთა, მოსწავლეთა და ბავშვთა შორის ტრავმატიზმისა და სხვა უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას.

5. 1. 2. ყოველწლიურად ამუშავენ საორგანიზაციო-ტექნიკურ ღონისძიებებს შრომის დაცვის, მშრომელთა, მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის პირობების გასაუმჯობესებლად.

5. 1. 3. აღრიცხავენ საწარმოო და სასწავლო-აღმზრდელი პროცესთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევებს, მონაწილეობენ მათ გამოძვევი მიზეზების დადგენაში, ამტკიცებენ ნ-1 ფორმის აქტს, ორგანიზაციის უკეთებენ ტრავმატიზმის თავიდან აცილებისა და სხვა უბედური შემთხვევების პროფილაქტიკას.

მომუშავეების, მოსწავლეებისა და ბავშვების ყოველი მძიმე, ჯგუ-



ფური, უბედური და სიკვდილის შემთხვევების შესახებ აცნობებენ ასსრ განათლების სამინისტროს, სამხარეო (საოლქო), ადგილობრივ პროკურატურასა და შრომის ტექნიკურ ინსპექციას.

5. 1. 4. ორგანიზაციას უკეთებენ სკოლებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში შრომის ტექნიკური ინსპექციის, სანიტარიული და სახელმწიფო ზედამხედველობის სხვა ორგანოების მიწერილობებს.

5. 1. 5. ითვალისწინებენ შრომის დაცვის ნორმებისა და შრომითი კანონმდებლობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით განათლების დაწესებულებების ხელმძღვანელების აზრს.

5. 1. 6. ამოწმებენ სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებების მიერ არსებული შრომითი კანონმდებლობის შესრულებას, შრომის დაცვის ხელშეკრულებების, ინსტრუქციებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისი წესების დაცვას.

სოცშეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ითვალისწინებენ განათლების დაწესებულებების მიერ შრომის დაცვის, ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების საკითხებისათვის თავის გართმევას.

5. 1. 7. კრძალავენ სკოლასა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩატარებას, აგრეთვე მუშაობას უბნებზე, სადაც არ არის დაცული უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და შრომითი კანონმდებლობის წესები.

პასუხისგებაში აძლევენ ამ მოთხოვნების დამრღვევ პირებს.

5. 1. 8. ორგანიზაციას უწევენ განათლების დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკების სწავლებას შრომის დაცვის საკითხების ცოდნის შემდგომი შემოწმებით, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ნორმატიული დოკუმენტებიდან გამომდინარე, მასწავლებლებისათვის შესაბამის სპეციალობებში კურსებისა და სემინარების ჩატარებას.

5. 1. 9. აწვდამენ შრომის დაცვის სამუშაოს პრაქტიკას, ამუშავებენ მისი სრულყოფის წინადადებებს, აღწევენ საწარმოო, აგრეთვე მოსწავლეებსა და ბავშვებს შორის ტრავმების შემცირებას, შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებასა და შრომის კანონმდებლობის დაცვას. ავრცელებენ მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

5. 1. 10. ამოწმებენ განათლების მშენებარე ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხიანად შესრულებას. არ დაუშვებენ დაუმთავრებელი კეთილმოწყობის და სხვა დაუმთავრებელი სამუშაოებით ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას.

5. 1. 11. ორგანიზაციას უკეთებენ შრომის დაცვის სკითხვებზე მსწავლეთა შრომითი გაერთიანებების მომზადებას, დისლოკაციას, ადგილებზე ამოწმებენ მათი შრომის ორგანიზაციას, საზოგადოებრი-



ვად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის, სადა
შაო ადგილების შექმნასა და ატესტაციას.

5. 1. 12. კონტროლს უწევენ მიიმე პირობებში მომუშავე პირთა-
თვის შედგაათების სწორად მიცემას, მწარმოებლური შრომის, შრო-
ძითი და პროფესიული მომზადების, სასწავლო-საწარმოო კომბინატსა
და საბაზო დაწესებულებებში საწარმოო პრაქტიკის დროს მომუშავე-
ებისა და მოსწავლეების სპეცფენსაცმლითა და სხვა საჭირო საშუალე-
ბებით უზრუნველყოფას.

5. 1. 13. განათლების დაწესებულებებს უზრუნველყოფენ შრო-
მის დაცვის ნორმატიული დოკუმენტებით, ტექნიკური უსაფრთხოების
ინსტრუქციებით, ანგარიშების ბლანკებითა და სხვა.

5. 1. 14. ორგანიზაციას უკეთებენ სკოლების, სკოლამდელი და
განათლების სხვა დაწესებულებების კომისიაზე მიღებას, აფორმებენ
მათ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული აქ-
ტებით (სასწავლო წლის დაწყებამდე).

5. 1. 15. შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შესაქმნე-
ლად და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩასატარებლად განსა-
ზღვრავენ საბაზო სკოლებს. სკოლა-ინტერნატებს, სასწავლო-საწარ-
მოო კომბინატებს, საბავშვო ბაღებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდე-
ლობით დაწესებულებებს.

5. 2. განყოფილების (სამმართველოს) აპარატში შრომის დაცვისა
და უსაფრთხოების ტექნიკის სამუშაოთა ორგანიზაციისათვის, დაწე-
სებულებებში შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შესაქმნე-
ლად პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება განყოფილების (სამ-
მართველოს) ხელმძღვანელს, რომელიც აპარატის ერთ-ერთ თანა-
მშრომელს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკაზე უშუალო
პასუხისმგებლად ნიშნავს. ამუშავენ და ამტკიცებს მისთვის ინსტრუქ-
ციას. განსაზღვრავს აპარატის მუშაკთა ვალდებულებებს შრომის და-
ცვის საქმეში კონკრეტული მიმართულებით (უბნებზე) მუშაობისათვის.

**6. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ხაზით ჩასატარებელი
მუშაობის ორგანიზაცია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს
ყველა ტიპისა და დასახელების ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლაში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო
კომბინატებში, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე
დაწესებულებებში**

6. 1. დაწესებულების ხელმძღვანელი:

6. 1. 1. უზრუნველყოფს ბრძანებების, განკარგულებების, შრომის
დაცვის საკითხებზე სახალხო განათლების ორგანოების ინსტრუქცი-
ული წერილების, სახელმწიფო ზედამხედველობისა და შრომის ტექ-
ნიკური ინსპექციის განაწესის შესრულებას.

საქ. სსრ კ. მარქისი

უზრუნველყოფს დაწესებულებას აუცილებელი დოკუმენტებით, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ სასწავლო-თვალსაჩინო მასალით.

6. 1. 2. გეგმავს და ახორციელებს შრომის დაცვის ღონისძიებებს ნომენკლატურის (დანართი 1) შესაბამისად, უზრუნველყოფს საინჟინრო-ტექნიკური კომუნიკაციის, მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციას და ყოველ ღონეს ხმარობს მათ მოსაწესრიგებლად შრომის დაცვის წესებისა და ნორმების თვალსაზრისით სოციალური სამსახურის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

თავის დროზე ამოწმებს და არემონტებს დაწესებულებების შენობებს (თაროები, იატაკი, კიბეები, დანადგარები, ელექტროარმატურა, ტელეტექსტში სანიტარიულ-ტექნიკური დანადგარები).

6. 1. 3. ორგანიზაციას უკეთებს მიმღები კომისიის მუშაობას სახალხო განათლების ორგანოების, საბაზო დაწესებულებების, პროფკავშირული ორგანიზაციების, სანიტარიული, სახანძრო, ტექნიკური ინსპექციის, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში, სახელმწიფო, საქალაქო, ტექნიკური ზედამხედველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით ახალი სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიების, სახელოსნოებისა და სასწავლო საამქროების ექსპლუატაციაში გადაცემისათვის.

6. 1. 4. ჩვეუფურ, მძიმე და სიკვდილის შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელს, შრომის ტექნიკურ ინსპექტორს, უბედური შემთხვევის ადგილის მიხედვით — პროკურატურას.

6. 1. 5. ორგანიზაციას უკეთებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან და წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის გამომიყვანას, საკავშირო ცენტრალური პროფესიული კავშირების საბჭოს მიერ 1982 წლის 13 აგვისტოს № 11-6 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოებში უბედური შემთხვევების გამოძიებისა და აღრიცხვის დებულების შესაბამისად. აწარმოებს უბედური შემთხვევის მიზეზების ანალიზს, ახორციელებს მათი თავიდან აცილების ღონისძიებებს.

6. 1. 6. შრომის დაცვის საკითხებზე პროფკავშირის კომიტეტთან ყოველწლიურად დებს ხელშეკრულებებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას (დანართი 2).

6. 1. 7. თვეში ერთხელ პროფკავშირის კომიტეტთან ერთად აჯამებს შრომის დაცვის ხელშეკრულებების შესრულების შედეგებს.

6. 1. 8. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, საწარმოო თათბირებზე და შრომითი კოლექტივების შეკრებებზე განსახილველად გამოაქვს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკასთან დაკავშირებული მუშაობის ორგანიზაციის საკითხები.

6. 1. 9. შრომითი კოლექტივების საერთო შეკრებებზე გამოდის ანგარიშით შრომის დაცვის მდგომარეობის, მომუშავეთა, მოსწავლეთა



და ბავშვთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, შრომის პირობების გაუმჯობესების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების, აგრეთვე საქმეში ნაკლის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

6. 1. 10. უზრუნველყოფს დაწესებულებების პედაგოგთა მოკლევადიან კურსებს, სემინარებსა და რაიონული (საქალაქო) მეთოდკაბინეტების ბაზაზე ჩატარებულ სემინარებზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხების შესწავლას.

6. 1. 11. სამსახურში ყველა ახალმიღებულს, ასევე ადგილებზე ხელმძღვანელ პერსონალს უტარებს შრომის დაცვის მიმდინარე ინსტრუქტაჟს, რომელიც ფორმდება დადგენილი ფორმის ქურნალში (დანართი 3).

6. 1. 12. სამსახურში აფორმებს პიროვნებებს, რომლებიც წინასწარ სამედიცინო შემოწმებას გაიკლიან და სამედიცინო დაწესებულებების დაღებით გადაწყვეტილებას მიიღებენ. კონტროლს აწესებს დაწესებულებების თანამშრომელთა დისპანსერიზაციაზე.

6. 1. 13. შრომითი და პროფესიული დაოსტატების მიზნით საბაზო დაწესებულებებსა და სასწავლო-საწარმოო კომბინატში, საწარმოო პრაქტიკის დროს მომუშავე მოსწავლეებს უზრუნველყოფს სპეცტანსაცმლით, სპეცთევსაცმლითა და ტიპური ნორმებიდან და ინსტრუქციებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით.

6. 1. 14. პროფკავშირის კომიტეტთან ერთად ამტკიცებს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და სხვათა ნორმატიული დოკუმენტებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის ტიპური ინსტრუქციების შესაბამისად უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟს კაბინეტებისათვის, საამქროების (მოედნების, უბნების), სასპორტო დარბაზებისათვის.

6. 1. 15. უზრუნველყოფს შრომით კოლექტივში აღნიშნული დებულების შესწავლასა და შესრულებას.

6. 1. 16. პერსონალურ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული დებულების თანახმად ორგანიზაციას უკეთებს შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას.

6. 2. დაწესებულების ხელმძღვანელი. მოადგილე სასწავლო (სასწავლო-აღმზრდელობით, სასწავლო-საწარმოო) დარგში:

6. 2. 1. პასუხისმგებლად ითვლება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნისათვის.

6. 2. 2. უშუალოდ ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ნორმებისა და წესების და შრომის წესების, წარმოების სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვას.



